**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

16 ივნისი, 2026 წ.

**ბრძანება №01-12/114**

**ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტაჟიორთა**

**სერტიფიცირებისა და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს შინაგანაწესის, „ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 მარტის №01-10/31 ბრძანების, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა დანიშვნის შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 21 აპრილის №01-12/75ბრძანებისა და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2026 წლის 12 ივნისის №707973 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში 2026 წლის 21 აპრილიდან 2026 წლის 22 მაისამდე პერიოდში სტაჟირების წარმატებულად გავლისათვის **გაიცეს სერტიფიკატები,** თანდართული ფორმის შესაბამისად **(დანართი №1),** შემდეგ სტაჟიორებზე:
   ა) **ქრისტინა რევაზიშვილი** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი;
   ბ) **სალომე ჯორბენაძე** - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი;
   გ) **გიორგი კილასონია** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,აგრარული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი.
2. სერტიფიკატების დამზადება და გაცემა უზრუნველყოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტმა, საქმისწარმოების სამსახურმა (კანცელარია) და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა.
3. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტაჟიორ გიორგი კილასონიასთან, ანაზღაურების გარეშე სტაჟირების წარმატებით გავლის საფუძველზე, მისი თანხმობის გათვალისწინებით **გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება 2026 წლის 16 ივნისიდან 6 თვის ვადით** (ყოველთვიურად გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობა - 500 ლარი).
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: კონკურსები; ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აქტები).
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სტაჟიორებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მერაბ დიასამიძე

,,ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის სტაჟიორთა სერტიფიცირებისა და შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 16.06.2026 წლის № 01-12/114 ბრძანების დანართი N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW – BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY**

# სერტიფიკატი
# CERTIFICATE

ადასტურებს, რომ / **Confirming that**

---------- / ----------

წარმატებით გაიარა (**21.04.2026-21.05.2026**) სტაჟირება
ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში

**has successfully completed (21.04.2026-21.05.2026)**
**internship at the BSU Institute of Agrarian and Membrane Technologies**

ბსუ-ს რექტორი: ტიტე აროშიძე
Recto rof BSU : Tite Aroshidze

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: მერაბ დიასამიძე
Chief of the Administration of BSU : Merab Diasamidze

სერტიფიკატის გაცემის საფუძველი: ბრძანება N_____; 16.06.2026 წ.